



შენაბავისთვის აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვამტკიცებ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
ნოე ქაშიბაძე

“09” 01 “ 2019 წელი

N 2/36

ეგზ: N1

სსიპ - სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის
პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის, სსიპ -
სოხუმის მოგარდ გაყვრებალთა პროფესიული სახელმწიფო
თეატრის - თეატრი ტალღის, სსიპ - აფხაზეთის სიმღერისა და
ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ აფხაზეთის და სსიპ - გურამ
ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო
კაპელის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდის საბიუჯეტო სახსრებისა და
მათერიალური ფასეულობების გამოყენებისა და ხარჯვის
შესაბამისობის აუდიტი

სარჩევი

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები.....	3
შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები	4
შესავალი	7
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	7
აუდიტორის პასუხისმგებლობა	7
აუდიტის საგანი	8
აუდიტის მასშტაბი	8
აუდიტის კრიტერიუმები	8
აუდიტის მიზანი	10
აუდიტის მეთოდოლოგია	11
აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:	11
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	11
აუდიტის მიგნებები.....	13
არაფინანსური აქტივების აღრიცხვა-გამოყენება	13
ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვა	16
მივლინება	18
საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას	19
საკომუნიკაციო ხარჯის შეუთანხმებლობა მაკონტროლებელ ორგანოსთან	19
უძრავი ქონების განკარგვის შეუთანხმებლობა მაკონტროლებელ ორგანოსთან	20
სახელმწიფო შესყიდვები	22
წინა აუდიტით გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა	23
სხვა დარღვევა-ნაკლოვანებები	24
ინვენტარიზაცია	24
ფინანსური ანგარიშგება	25
არაფინანსური აქტივების აღრიცხვა-გამოყენების ნაკლოვანებები	25
ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები	26
საკუთარი შემოსავლები	26
მიმდინარე ანგარიში ბანკში – ეროვნულ ვალუტაში	34

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები

დრამატული თეატრი – სსიპ – სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი;

თეატრი „თეთრი ტალღა“ – სსიპ – სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღა“;

ანსამბლი „აფხაზეთი“ – სსიპ – აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „აფხაზეთი“;

საგუნდო კაპელა – სსიპ – გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა;

ა/რ – ავტონომიური რესპუბლიკა;

მაკონტროლებელი – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო;

სსიპ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ – სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის, სსიპ – სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის – „თეთრი ტალღის“, სსიპ – აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „აფხაზეთის“ და სსიპ – გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების განკარგვის მოქმედ კანონმდებლობასთან 2017 წლის შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის ნაკლოვანებები:

1. დრამატული თეატრის არაფინანსური აქტივების აღრიცხვა-გამოყენებასთან დაკავშირებით (განსათავსებელი ფართი, ავტომატქანა, სახანძრო სიგანლიზაციით განსათავსებელი ფართის აღჭურვა, ბალანსზე რიცხული აქტივების პირვანდელი ღირებულება) გამოვლინდა დარღვევა-ნაკლოვანებები (გვ. 13).
2. თეატრ „თეთრ ტალღაში“ ძირითად აქტივებზე დარიცხული მიმდინარე წლისა და დაგროვილი ცვეთის თანხის გადამოწმებით გამოვლინდა, რომ აქტივების ღირებულება 2017 წლის ბოლოსათვის არასწორადაა შემცირებული (გვ. 14).
3. ანსამბლი „აფხაზეთის“ არაფინანსური აქტივების აღრიცხვა-გამოყენებასთან დაკავშირებით (აქტივების ღირებულების არამართებულად შემცირება, ინვენტარიზაციით გამოვლენილი ზედმეტობები), გამოვლინდა დარღვევა-ნაკლოვანებები (გვ. 14).
4. საგუნდო კაპელაში „პირობითი ვალდებულებების“ აღრიცხვასთან დაკავშირებით გამოვლინდა დარღვევა-ნაკლოვანებები (გვ. 16).
5. დრამატულ თეატრსა და თეატრ „თეთრი ტალღაში“ მივლინების თანხების აღრიცხვა-გაცემასთან დაკავშირებით გამოვლინდა დარღვევა-ნაკლოვანებები (გვ. 18).
7. დრამატულ თეატრს, ანსამბლ „აფხაზეთს“ და საგუნდო კაპელას არ ჰქონდა შეთანხმებული კანონმდებლობით სავალდებულოდ შესათანხმებელი საკომუნიკაციო ხარჯები (გვ. 19).
8. ანსამბლმა „აფხაზეთმა“ მაკონტროლებლის მიერ სარგებლობის უფლებით გადმოცემული ფართი, სარგებლის მიღების მიზნით, გადასცა იურიდიულ პირს.

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

აღნიშნული ფართის გაქირავება ანსამბლის ხელმძღვანელობას მაკონტროლებელ ორგანოსთან ოფიციალურად შეთანხმებული არ ჰქონდა (გვ. 20).

9. 2017 წელს თეატრმა „თეთრმა ტალღამ“ განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, რომლის დროსაც დაირღვა ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვის დროს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მონეტარული ზღვარი (გვ. 22).

გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების საპასუხოდ, აუდიტის სამსახურმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაცია N1: დრამატულმა თეატრმა უზრუნველყოს სარგებლობის უფლებით გადმოცემული ფართისა და კუთვნილი ავტომანქანის სათანადო ღირებულებით აღრიცხვა, სახანძრო სიგნალიზაციის შესაბამისი კლასიფიკაციით ასახვა, დარიცხული ცვეთისა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გასწორება. ასევე დრამატული თეატრის, ანსამბლ „აფხაზეთის“, თეატრ „თეთრი ტალღის“ ხელმძღვანელობამ შეიმუშაოს არაფინანსური აქტივების მართვისა და აღრიცხვა-გამოყენების ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაფინანსური აქტივების მიღების აღრიცხვას, აქტივად აღიარების კრიტერიუმების დაცვას, აქტივების გამოყენებისა და ცვეთის სწორად დარიცხვას.

რეკომენდაცია N2: საგუნდო კაპელამ გაუთვალისწინებელი ხარჯების თავიდან აცილების მიზნით, უზრუნველყოს რისკების სწორად განსაზღვრა და შესაბამისი პირობითი ვალდებულებების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა.

რეკომენდაცია N3: დრამატული თეატრის და თეატრ „თეთრი ტალღის“ ხელმძღვანელობის მიერ მოხდეს სამივლინებო თანხის აღრიცხვა (აღიარება) კრედიტორულ დავალიანებად და შემდგომ, აღნიშნული თანხების თანამშრომელთათვის ანაზღაურება.

რეკომენდაცია N4: დრამატული თეატრის, ანსამბლ „აფხაზეთის“ და საგუნდო კაპელას ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს მაკონტროლებელთან, საკუთარი საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული ისეთი საკომუნიკაციო ხარჯებით სარგებლობის ლიმიტების შეთანხმება, როგორიცაა, ინეტრნეტმომსახურება და სატელეფონო კავშირგაბმულობა. ხოლო აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით, დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს სსიპ-ების მიერ საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ, ეფექტიან და გამჭვირვალე ხარჯვას.

რეკომენდაცია N5: ანსამბლ „აფხაზეთის“ ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს მის სარგებლობაში არსებული ფართის გაქირავების თაობაზე სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან წერილობითი დასაბუთებით მიმართვა შესაბამისი თანხმობის მოსაპოვებლად, რათა თავიდან იქნეს აცილებული სსიპ-ის კუთვნილი ქონების არამართლზომიერი გამოყენება და განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვა.

რეკომენდაცია N6: თეატრმა „თეთრი ტალღა“ შესყიდვის განხორციელებამდე სწორად განსაზღვროს შესყიდვის მიზნობრიობა და ობიექტი, ხოლო შემდგომ მოახდინოს შესყიდვის საშუალების კანონმდებლობის შესაბამისად დადგენა, ასევე უზრუნველყოს აღნიშნული კანონმდებლობის დარღვევაზე შესაბამის პასუხისმგებელ პირთა საკითხის განხილვა და საჭიროებიდან გამომდინარე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლის კვალიფიკაციის ამაღლება, რაც შეამცირებს საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიურად და არაეფექტიანად ხარჯვის რისკებს.

შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სსიპ – სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის, სსიპ – სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის – „თეთრი ტალღის“, სსიპ – აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „აფხაზეთის“ და სსიპ – გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამოებებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს. სტანდარტი ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ სსიპ – სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის, სსიპ – სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრ „თეთრი ტალღის“, სსიპ – აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „აფხაზეთის“ და სსიპ – გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელის მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების განკარგვასთან დაკავშირებით გაწეული საქმიანობა არ

შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა:

- 2017 წელს საქმიანობის განსახორციელებლად გამოყენებული სახსრები, მიმდინარე და კაპიტალიზებული ხარჯები;
- მატერიალური ფასეულობების გამოყენებისა და ხარჯვის მდგომარეობა.

აუდიტის მასშტაბი

სსიპ – სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის, სსიპ – სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრ „თეთრი ტალღის“, სსიპ – აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „აფხაზეთის“ და სსიპ – გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელის საბიუჯეტო სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენებისა და ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა 2017 წელი.

აუდიტის კრიტერიუმები

- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „პროფესიული თეატრების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;

- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N302 დადგენილება „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულება „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 21 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N424 ბრძანება „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 18 სექტემბრის N39 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის მთავრობის 2005 წლის 01 ივლისის N36 დადგენილება „სსიპ – სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბების შესახებ“;
- აფხაზეთის ა/რ მთავრობის 2017 წლის 7 თებერვლის N15 დადგენილება „სსიპ – სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრ „თეთრი ტალღის“ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბების შესახებ“;
- აფხაზეთის ა/რ მთავრობის 2013 წლის 5 დეკემბრის N27 დადგენილება „სსიპ – აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის რეორგანიზაციისა და სსიპ-ის – გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელის ჩამოყალიბების შესახებ“;
- აფხაზეთის ა/რ მთავრობის 2015 წლის 11 მარტის N11 დადგენილება „სსიპ – აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის რეორგანიზაციისა და მის ბაზაზე სსიპ-ის – აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „აფხაზეთის“ ჩამოყალიბების შესახებ“;
- სსიპ – სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის, სსიპ – სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრ „თეთრი ტალღის“, სსიპ-ის – აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „აფხაზეთის“ და სსიპ-ის – გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელის დებულება;
- სსიპ – სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის, სსიპ – სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრ „თეთრი ტალღის“, სსიპ-ის – აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „აფხაზეთის“ და სსიპ-ის – გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელის შინაგანაწესი.

აუდიტის მიზანი

სსიპ – სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის, სსიპ – სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრ „თეთრი ტალღის“, სსიპ – აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის

სახელმწიფო ანსამბლ „აფხაზეთის“ და სსიპ – გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელის მიერ 2017 წელს სახსრების ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების განკარგვის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტის მიზანია:

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანთან დაკავშირებული ინფორმაცია სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის, აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნების და სადაც შესაფერისია – რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- ┌ აუდიტის ობიექტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;
- ┌ ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან და ფოკუსჯგუფებთან;
- ┌ მონაცემთა ანალიზი (მონაცემთა ბაზების და მონაცემთა დოკუმენტური ანალიზი).

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

დრამატული თეატრის ძირითად მიზნებს, ფუნქციებს და საქმიანობის საგანს წარმოადგენს:

- სპექტაკლების დადგმა;
- თეატრალური ხელოვნების პროპაგანდა და მოსახლეობის ფართო ფენების მხატვრული აღზრდა, ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარება.

თეატრ „თეთრი ტალღის“ ძირითად მიზნებს, ფუნქციებს და საქმიანობის საგანს წარმოადგენს:

- სპექტაკლების დადგმა;
- თეატრალური ხელოვნების პროპაგანდა და მოზარდი ახალგაზრდობის მხატვრული აღზრდა, ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარება.

ანსამბლ „აფხაზეთის“ ძირითად მიზნებს, ფუნქციებს და საქმიანობის საგანს წარმოადგენს:

- ქართული და აფხაზური ფოლკლორის პოპულარიზაცია;
- საკონცერტო საქმიანობის განხორციელება, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

საგუნდო კაპელის ძირითად მიზნებს, ფუნქციებს და საქმიანობის საგანს წარმოადგენს:

- ქართული, აფხაზური და მსოფლიო საგუნდო და აკადემიური მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაცია;
- საკონცერტო მოღვაწეობა საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ, ეროვნული და მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების მაღალმხატვრული ნიმუშების მოსახლეობის ფართო ფენებში პოპულარიზაცია-პროპაგანდა.

დრამატული თეატრის, თეატრ „თეთრი ტალღის“, ანსამბლ „აფხაზეთის“ და საგუნდო კაპელას დაფინანსების წყაროებია:

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება;
- სხვა შემოსავლები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

დრამატული თეატრის, თეატრ „თეთრი ტალღის“, ანსამბლ „აფხაზეთის“ და საგუნდო კაპელას სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო, კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში, არის აფხაზეთის ა/რ განათლების და კულტურის სამინისტრო. სსიპ-ებს აქვთ განცალკევებული ქონება, დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო, სავალუტო და სხვა სახის ანგარიშები, ბეჭედი საკუთარი დასახელებით, ბლანკი, ემბლემა და საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის დამახასიათებელი სხვა რეკვიზიტები. სსიპ-ები ბალანსს დასამტკიცებლად წარუდგენენ შესაბამის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს, ხოლო შემდგომ – აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს.

აუდიტის მიგნებები

არაფინანსური აქტივების აღრიცხვა-გამოყენება

გამოვლენილი გარემოებები

სსიპ – სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

- 1) დრამატულ თეატრს მკონტროლებლის მიერ 2016 წელს გადმოეცა თეატრის ადმინისტრაციის განსათავსებლად 30,138.33 ლარის ღირებულების 279.38 კვ.მ ფართი. აღნიშნული ფართი 2016 წლის ბოლოს თეატრის მიერ მოწვეულმა დამოუკიდებელმა ექსპერტმა შეაფასა საბაზრო ღირებულებით – 475,000.00 ლარი¹, რომელიც თეატრის ბუღალტრის მიერ დაშვებული შეცდომის გამო, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის ძირითადი აქტივის ღირებულების აღიარების დროს, არ იქნა გათვალისწინებული არც 2016² და არც 2017 წელს.
- 2) სსიპ „აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრმა“ 2013 წელს დრამატულ თეატრს გადმოსცა 4,292.35 ლარის ნარჩენი (საბალანსო) ღირებულების ავტომანქანა „ნივა“, რომელიც თეატრს 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების საცნობარო მუხლში აღრიცხული აქვს 12,263.85 ლარის ღირებულებით. ვინაიდან ვერც აქტივის გადმოცემის დოკუმენტაციით და ვერც სხვა ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებით ვერ დადასტურდა საწყისი (პირვანდელი) ღირებულება, აღნიშნული ავტომანქანა გადმოცემის მომენტისათვის მისი საბალანსო ღირებულებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული დაგროვილი ცვეთის გათვალისწინებით უნდა იყოს აღრიცხული თეატრის ფინანსური ანგარიშგების საბალანსო მუხლში „2.2.1 სატრანსპორტო საშუალებები“, 1,502.32 ლარის ღირებულებით³.
- 3) დრამატულმა თეატრმა 2017 წელს განახორციელა სარგებლობაში არსებული განთავსების ფართის სახანძრო სიგნალიზაციით აღჭურვა, რომლის ღირებულებამ

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი, „გ“ ქვეპუნქტი; მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტი; 2 სას-ის 2017 წლის 29 აგვისტოს N40/36 ბრძანება „სსიპ – სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის, სსიპ – სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრ „თეთრი ტალღის“, სსიპ – აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „აფხაზეთის“ და სსიპ – გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში“ (დამტკიცებული).

³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 24-ე მუხლის მე-10 პუნქტი, „გ“ ქვეპუნქტი; მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი;

შეადგინა 2,391.00 ლარი. თეატრის მიერ განხორციელდა გაწეული ხარჯის კაპიტალიზება და გაიზარდა შენობა-ნაგებობის ღირებულება. კანონმდებლობის შესაბამისად⁴, აღნიშნული ხარჯი უნდა აღიარებულიყო განცალკევებული აქტივის სახით „სახანძრო სიგნალიზაცია“ და ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულიყო როგორც „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“. თეატრის ფინანსური მენეჯერის მიერ დაშვებული შეცდომის გამო, ასევე აქტივის არასწორი კლასიფიკაციის გამო, ცვეთის ნორმებს შორის არსებული სხვაობის შედეგად⁵, (შენობის ცვეთის ნორმა – 1%, ხოლო საიგნალიზაციის ცვეთის ნორმა – 10%) თეატრის აქტივების ღირებულება არასწორად გაიზარდა 215.16 ლარით.

-) დრამატულ თეატრს ბალანსზე რიცხული აქტივების პირვანდელი ღირებულების არასწორი აღიარების, კლასიფიკაციის და ცვეთის არასწორი ნორმის გამოყენების შედეგად, „საკუთარი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი შემცირებული აქვს 4,880.52 ლარით, რამაც გამოიწვია თეატრის „წმინდა ღირებულების“ ზრდა ფინანსურ ანგარიშგებაში.

სსიპ – სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღა“

თეატრ „თეთრ ტალღაში“ აუდიტის ჯგუფის მიერ თეატრის საკუთრებაში არსებულ ძირითად აქტივებზე დარიცხული მიმდინარე წლისა და დაგროვილი ცვეთის⁶ თანხის ხელახალი გადამოწმებით გამოვლინდა, რომ მთავარი ფინანსური მენეჯერის მიერ შეცდომით არასწორი ცვეთის ნორმის გამოყენების შედეგად, აქტივების ღირებულება 2017 წლის ბოლოსათვის 13 ერთეულ აქტივზე შემცირებული იყო 2,858.75 ლარით.

სსიპ – აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „აფხაზეთი“

-) ანსამბლ „აფხაზეთს“ მიერ 2012 წელს შეძენილი 1,250.00 ლარის ღირებულების ორი ერთეული დისკი, სიმღერების არანჟირების აუდიო ჩანაწერებით, აღრიცხულია ფინანსური ანგარიშგების საცნობარო მუხლში „N10 – ექსპლუატაციაში მყოფი

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-7 მუხლის N1 დანართი, შიფრი N4167 „სახანძრო სიგნალიზაცია“ ცვეთის წლიური ნორმა – 10%.

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-7 მუხლის N1 დანართი, შიფრი N4167 „მრავალსართულიანი შენობები“ ცვეთის წლიური ნორმა – 1%.

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.

ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“. აღნიშნული აქტივები შესყიდვის მომენტში ექვემდებარებოდა არამატერიალურ აქტივად აღიარებას და მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით⁷, ცვეთის დარიცხვას. შესაბამისად, 2017 წლის ბოლოსათვის აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული უნდა იყოს „2132 არამატერიალური ძირითადი აქტივების“ საბალანსო მუხლში 500.00 ლარის საბალანსო ღირებულებით. აქტივების არასწორი კლასიფიკაცია და მათი ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორი აღრიცხვა, გამოწვეული იყო მთავარი ბუღალტრის მიერ დაშვებული შეცდომით.

- ს) ანსამბლ „აფხაზეთს“ 2017 წელს გადმოეცა აქტივი, რომელიც გადმომცემ ორგანიზაციას საკუთარი ფინანსური ანგარიშგების საცნობარო მუხლში აღრიცხული ჰქონდა 2,214.00 ლარის ღირებულებით. ანსამბლის მიერ აქტივების მიღების დროს არ მოხდა აღნიშნული აქტივის შეფასება და რეალური ღირებულებით⁸ ფინანსური ანგარიშგების საბალანსო მუხლში „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ აღრიცხვა. საფინანსო სამსახურმა 2,214.00 ლარი აღიარა „საკუთარი კაპიტალის მოხმარების“ მუხლში და ამავე თანხით აქტივი აღრიცხა ფინანსური ანგარიშგების საცნობარო მუხლში „ამორტიზებული ძირითადი აქტივები“. შესაბამისად, ანსამბლმა „აფხაზეთმა“ 2,214.00 ლარით არამართებულად შეამცირა აქტივების ღირებულება და გაზარდა ცვეთის თანხა, რაც გამოწვეული იყო მთავარი ბუღალტრის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნების არცოდნით.
- ს) ანსამბლ „აფხაზეთის“ მიერ 2017 წლის ბოლოს ჩატარებული სავალდებულო ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა 15 ერთეული არაფინანსური აქტივის ზედმეტობა. აღნიშნული აქტივების ღირებულების დადგენა ორგანიზაციამ ვერ შეძლო პირველადი საბუღალტრო დოკუმენტაციით, მათი შეძენის სიძველის გამო, ხოლო ხელმძღვანელობის არასათანადო დამოკიდებულების გამო, არ მოხდა აღნიშნული აქტივების შეფასება და შედეგების ასახვა აღრიცხვა-ანგარიშგების დოკუმენტაციაში,⁹ რის გამოც ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივების ღირებულება არასრულად და არაზუსტად აისახა.

⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი, „გ“ ქვეპუნქტი; მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტი.

⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 22-ე მუხლის პირველი პუნქტი, 24-ე მუხლის 23-ე პუნქტი, 36-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-15 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტები.

დასკვნა

აქტივების არასწორი ღირებულებითა და კლასიფიკაციით აღრიცხვამ, ცვეთის არასათანადო თანხის დარიცხვამ გამოიწვია დრამატული თეატრის, თეატრ „თეთრი ტალღის“ და ანსამბლ „აფხაზეთის“ ფინანსურ ანგარიშგებებში არაფინანსური აქტივების ღირებულების შესახებ არასრული, არაზუსტი და არასწორი¹⁰ ინფორმაციის ასახვა, რაც მეტყველებს ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირების, მათზე დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულებისა და ადმინისტრაციის მხრიდან სუსტ კონტროლზე. ყოველივე ზემოაღნიშნული წარმოშობს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოსადმი არასწორი/არაზუსტი ფინანსური ინფორმაციის მიწოდებისა და ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების შეცდომაში შეყვანის რისკებს.

რეკომენდაცია

დრამატული თეატრის ფინანსურმა მენეჯერმა უზრუნველყოს სარგებლობის უფლებით გამოცემული ფართისა და კუთვნილი ავტომანქანის სათანადო ღირებულებით აღრიცხვა, სახანძრო სიგნალიზაციის შესაბამისი კლასიფიკაციით ასახვა, დარიცხული ცვეთისა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გასწორება. ასევე დრამატული თეატრის, ანსამბლ „აფხაზეთის“, თეატრ „თეთრი ტალღის“ ხელმძღვანელობამ შეიმუშაოს არაფინანსური აქტივების მართვისა და აღრიცხვის ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაფინანსური აქტივების მიღების აღრიცხვას, აქტივად აღიარების კრიტერიუმების დაცვას, არაფინანსური აქტივების გამოყენებისა და ცვეთის სწორად დარიცხვას.

ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვა

გამოვლენილი გარემოებები

სსიპ – გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა

საგუნდო კაპელას ფინანსურ ანგარიშგებაში „პირობითი ვალდებულებების“ სახით არ აქვს აღიარებული 5,104.07 ლარის პოტენციური ვალდებულება¹¹, რომელმაც შესაძლოა

¹⁰ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები.

¹¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-40 მუხლის მე-7 პუნქტი.

მომავალში გამოიწვიოს თეატრის ფინანსური რესურსების გადინება. აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით, აღნიშნული ვალდებულების საფუძველს წარმოადგენს 2017 წელს წარმოებაში შესული იმ თანამშრომლის სასამართლო სარჩელი, რომლსაც აუდიტებულ წელს შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება და რომელიც ითხოვს სამსახურში აღდგენას, განაცდურისა და ყოველ გაცდენილ დღეზე მიუღებელი თანხის 0,07%-ის, კომპენსაციის სახით ანაზღაურებას. აუდიტის მსვლელობის დროს აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით ჯერ კიდევ არ იყო მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება, თუმცა სასამართლოს მიერ თანამშრომლის სასარგებლოდ გამოტანილი განჩინების შემთხვევაში, საგუნდო კაპელას წარმოეშობა 4,786.74 ლარის განაცდურისა და 317.33 ლარის კომპენსაციის ანაზღაურების ვალდებულება. საგუნდო კაპელას ხელმძღვანელობის მიერ ყოფილი თანამშრომლის სარჩელში მოყვანილი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული, ვინაიდან თანამშრომლის განთავისუფლების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების პირობების უხეში დარღვევა (ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად სხვა ანსამბლთან ან/და დაწესებულებასთან ნებისმიერი სტატუსით თანამშრომლობა).

დასკვნა

საგუნდო კაპელის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ვალდებულების არშეფასებამ და საფინანსო სამსახურის მიერ ანგარიშგებაში პირობითი ვალდებულების არ ასახვამ, გამოიწვია ფინანსურ ანგარიშგებაში ვალდებულების ღირებულების შესახებ არასრული და არასწორი⁴¹ ინფორმაციის ასახვა. ეს უკანასკნელი მეტყველებს ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირების, მათზე დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულებისა და ადმინისტრაციის მხრიდან სუსტი კონტროლის არსებობაზე. ყოველივე ზემოაღნიშნული წარმოშობს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოსადმი არასრული/არასწორი ფინანსური ინფორმაციის მიწოდებისა და ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების შეცდომაში შეყვანის რისკს.

რეკომენდაცია

საგუნდო კაპელამ გაუთვალისწინებელი ხარჯების თავიდან აცილების მიზნით, უზრუნველყოს რისკების სწორად განსაზღვრა და შესაბამისი პირობითი ვალდებულებების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა.

მივლინება

გამოვლენილი გარემოებები

სსიპ – სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

დრამატულმა თეატრმა 2017 წლის 30 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით მონაწილეობა მიიღო ქ. ერევანში გამართულ ფესტივალში High Fest, ვინაიდან მომწვევმა მხარემ უზრუნველყო მივლინებული 16 თანამშრომლის საცხოვრებლისა და კვების ხარჯების დაფინანსება, თეატრის პასუხისმგებელმა პირებმა დაკისრებული მოვალეობის არასათანადოდ შესრულების გამო, არ გააფორმა მივლინების შესაბამისი დოკუმენტაცია და თანამშრომლებზე არ გასცა კუთვნილი სამივლინებო თანხები. მოქმედი კანონდებლობის შესაბამისად¹², თითოეულ თანამშრომელზე უნდა გაცემულიყო განსაზღვრული დღიური ნორმის 30% – 10.5\$, რაც ეროვნული ბანკის სავალუტო კურსის გათვალისწინებით¹³ შეადგენდა 26 ლარს. ოთხი დღით, 16 თანამშრომელზე სულ უნდა გაცემულიყო მივლინების თანხა – 1,664.00 ლარი.

სსიპ – სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღა“

თეატრ „თეთრი ტალღის“ მიერ, 2017 წელს ჩატარდა 12 გასვლითი სპექტაკლი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (ბორჯომი, ზუგდიდი, თელავი, ქუთაისი, ფოთი, ახალციხე, ჭიათურა, კაზრეთი, ბოლნისი), თუმცა არცერთ შემთხვევაში არ გაფორმებულა მივლინების ბრძანება და შესაბამისად, პასუხისმგებელი პირების მიერ დაკისრებული მოვალეობის არასათანადოდ შესრულების გამო, არ მომხდარა სამივლინებო თანხების თანამშრომლებისთვის ანაზღაურება. მოქმედი კანონდებლობის შესაბამისად¹⁴, სამსახურებრივი მივლინების სადღეღამისო ხარჯების ნორმა შეადგენს 15 ლარს, რომელიც გაიანგარიშება მივლინებაში ფაქტობრივად ყოფნის დღეების მიხედვით, დასვენებისა და სადღესასწაულო, აგრეთვე მივლინებაში გამგზავრებისა და მივლინებიდან დაბრუნების დღეების გამორიცხვის გარეშე. თეატრის მიერ 12 გასვლით ღონისძიებაში მონაწილე

¹² საქართველოს ფინანსთა მინისტრის, 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანება „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“.

¹³ 1\$=2.4767 ₾

¹⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანების პირველი მუხლის „ა“ პუნქტი.

თანამშრომლების რაოდენობის მიხედვით, 2017 წლის ასანაზღაურებელი სამივლინებო თანხა შეადგენდა – 3,060.00 ლარს.

დასკვნა

დრამატული თეატრისა და თეატრ „თეთრი ტალღის“ პირების მიერ დაკისრებული მოვალეობის არასათანადოდ შესრულების გამო, არ მოხდა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად თანამშრომლებზე სამივლინები თანხების დარიცხვა/ანაზღაურება და არც 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი ვალდებულების აღიარება.

რეკომენდაცია

დრამატული თეატრისა და თეატრ „თეთრი ტალღის“ ხელმძღვანელობის მიერ მოხდეს სამივლინებო თანხის აღრიცხვა/აღიარება კრედიტორულ დავალიანებად და შემდგომ, აღნიშნული თანხების თანამშრომელთათვის ანაზღაურება.

საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

საკომუნიკაციო ხარჯის შეუთანხმებლობა მაკონტროლებელ ორგანოსთან

გამოვლენილი გარემოებები

დრამატულ თეატრს, პასუხისმგებელი პირების მიერ დაკისრებული მოვალეობის არასათანადოდ შესრულების გამო, 2017 წლის ინტერნეტმომსახურებით სარგებლობის ხარჯები არ ჰქონდა შეთანხმებული მაკონტროლებელ ორგანოსთან, სატელეფონო კავშირგაბმულობის ხარჯებისთვის კი სარგებლობდა 2016 წლის იანვარში შეთანხმებული ლიმიტით. ასევე ანსამბლ „აფხაზეთს“ და საგუნდო კაპელას მაკონტროლებელთან არ ჰქონდა შეთანხმებული სსიპ-ისათვის მოქმედი კანონმდებლობით¹⁵ სავალდებულოდ შესათანხმებელი ისეთი საკომუნიკაციო ხარჯები, როგორიცაა, ინტერნეტმომსახურება და სატელეფონო კავშირგაბმულობა. სსიპ-ების ხელმძღვანელობის მიერ აღნიშნული საკითხის აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან შეუთანხმებლობა იწვევს საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი, არაეფექტიანი და გაუმჭირვალე ხარჯვის რისკებს.

¹⁵ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის „დ1“ პუნქტი.

დასკვნა

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სსიპ-ის მიერ გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტები საჭიროებს თანხმობას, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს მხრიდან. დრამატული თეატრის, ანსამბლ „აფხაზეთისა“ და საგუნდო კაპელის ხელმძღვანელობის არასათანადო ქმედების გამო, სსიპ-ს 2017 წელს ოფიცილურად არ მიუმართავს მაკონტროლებლისადმი სავალდებულო თანხმობის მისაღებად.

რეკომენდაცია

დრამატული თეატრის, ანსამბლ „აფხაზეთის“ და საგუნდო კაპელას ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს მაკონტროლებელთან, საკუთარი საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული ისეთი საკომუნიკაციო ხარჯებით სარგებლობის ლიმიტების შეთანხმება, როგორცაა, ინტერნეტმომსახურება და სატელეფონო კავშირგაბმულობა, ხოლო აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით, დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სსიპ-ების მიერ საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ, ეფექტიან და გამჭვირვალე ხარჯვას.

უძრავი ქონების განკარგვის შეუთანხმებლობა მაკონტროლებელ ორგანოსთან

გამოვლენილი გარემოებები

სსიპ – აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „აფხაზეთი“

ანსამბლ „აფხაზეთის“ მაკონტროლებლის მიერ სარგებლობის უფლებით გადმოცემული აქვს ფართი, საიდანაც 140,214 კვ.მ უჭირავს სარეპეტიციო დარბაზს. აღნიშნული ფართი ანსამბლმა სარგებლობის მიღების მიზნით, ყოველ შაბათ-კვირას, ორი საათით ცეკვის გაკვეთილების ჩასატარებლად, იჯარით გადასცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ხელოვნების სკოლას – „აფხაზეთი N1“. აღნიშნული ფართი წლის განმავლობაში გაქირავებული იყო 76 საათით და მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1,850.00 ლარი. აუდიტის ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების ბაზარი და დადგინდა, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული 140 კვ.მ უძრავი ქონების ერთი საათით გაქირავების საბაზრო ფასი, საშუალოდ შეადგენს 20 ლარს, ხოლო ანსამბლის მიერ დარბაზის ერთი საათით გაქირავების საფასური ხელშეკრულებით განისაზღვრა 25 ლარით. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობის ქმედებით მიღებული იქნა დამატებითი შემოსავლები, ანსამბლის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი

აღნიშნული ფართის გაქირავების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად¹⁶ მაკონტროლებლისათვის დასაბუთებული წერილობითი მიმართვა, ფართის გაქირავების შესათანხმებლად. ოფიციალურად არც მაკონტროლებლის მიერ ყოფილა დაფიქსირებული აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით რაიმე პოზიცია, რაც კონტროლის რისკებზე მიუთითებს.

დასკვნა

ვინაიდან სსიპ, სარგებლობაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით, საჭიროებს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობას. ანსამბლ „აფხაზეთის“ ხელმძღვანელობის არასათანადო ქმედების გამო, 2017 წელს მათ ოფიციალურად არ მიუმართავთ მაკონტროლებლისადმი, სავალდებულო თანხმობის მისაღებად. მიუხედავად იმისა, რომ არსებული ფართი ანსამბლის მიერ გაქირავდა საბაზრო ღირებულებით, მაკონტროლებლის მხრიდან არასათანადო კონტროლის პირობებში მაკონტროლებელთან ოფიციალური შეთანხმების გარეშე დარბაზის გაქირავების ფაქტი წარმოშობს უძრავი ქონების არამართლზომიერი გამოყენების რისკს.

რეკომენდაცია

ანსამბლ „აფხაზეთის“ ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს მის სარგებლობაში არსებული ფართის გაქირავების თაობაზე სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან წერილობითი დასაბუთებით მიმართვა შესაბამისი თანხმობის მოსაპოვებლად, რათა თავიდან იქნეს აცილებული სსიპ-ის კუთვნილი ქონების არამართლზომიერი გამოყენება და განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვა.

¹⁶ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ პუნქტი.

საქართველოს მთავრობის 2010 წ. 1 ოქტომბრის N302 დადგენილება „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

სახელმწიფო შესყიდვები

გამოვლენილი გარემოებები

სსიპ – სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღა“

თეატრმა „თეთრმა ტალღამ“ 2017 წელს სახელმწიფო შესყიდვის CPV601 დანაყოფის კოდზე – „სამგზავრო-სატრანსპორტო საშუალებების დაქირავება მძღოლთან ერთად“¹⁷, საკუთარი შემოსავლებით განახორციელა სულ 6,905.00 ლარის გამარტივებული შესყიდვა. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საბიუჯეტო (საფინანსო) წლის განმავლობაში ერთგვაროვანი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს შესყიდვა განიხილება ერთ შესყიდვად, თუ ისინი ერთი წყაროდან ფინანსდება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ-ის მიერ CPV601 დანაყოფის კოდზე შესყიდვების განხორციელების დროს დაირღვა კანონით დადგენილი მონეტარული ზღვარი, რომლის მიხედვით, გამარტივებული შესყიდვა შესაძლებელია 5000 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვის დროს¹⁸. ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ტრანსპორტის ხარჯების დაგეგმილთან შედარებით, ზრდა გამოწვეული იყო 2017 წელს სპექტაკლების რაოდენობის გაზრდით, რომლის დროსაც მთავარი ფინანსური მენეჯერის მხრიდან სათანადო ყურადღება არ მიექცა ზემოაღნიშნულ კოდზე მონეტარული ზღვრის დაცვას. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ეტაპზე არსებულ კონტროლის სისუსტეზე.

დასკვნა

სსიპ-ის მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვების დროს დაირღვა კანონით დადგენილი მონეტარული ზღვარი, რაც მთავარი ფინანსური მენეჯერის უყურადღებობით და ხელმძღვანელობის არასათანადო კონტროლით იყო გამოწვეული, შესაბამისად მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შეუსაბამოდ განხორციელებულმა შესყიდვებმა გამოიწვია საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიურად და არაეფექტიანად ხარჯვის რისკები.

¹⁷ CMR170003872, CMR170078407, CMR170103024, CMR 170113112, CMR170134977, CMR170175107, CMR170175111, CMR170182443, CMR170192973, CMR170199719.

¹⁸ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება N13 „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ მე-2 მუხლის „ა“ პუნქტი.

რეკომენდაცია

თეატრმა „თეთრმა ტალღამ“ შესყიდვის განხორციელებამდე სწორად განსაზღვროს შესყიდვის მიზნობრიობა და ობიექტი, ხოლო შემდგომ მოახდინოს შესყიდვის საშუალების კანონმდებლობის შესაბამისად დადგენა, ასევე უზრუნველყოს აღნიშნული კანონმდებლობის დარღვევაზე შესაბამის პასუხისმგებელ პირთა საკითხის განხილვა და საჭიროებიდან გამომდინარე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლის კვალიფიკაციის ამაღლება, რაც უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიურად და არაეფექტიანად ხარჯვის რისკების შემცირებას.

წინა აუდიტით გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

შრომის ანაზღაურება, სამივლინებო ხარჯები, პირობითი ვალდებულებები, სახელმწიფო შესყიდვები

სას-ის მიერ გაცემული რეკომენდაციები გაითვალისწინებულია: 1) ანსამბლი „აფხაზეთის“ მიერ შრომის ანაზღაურებასთან და სამივლინებო თანხების ვალდებულებად ასახვა-ანაზღაურებასთან დაკავშირებით; 2) თეატრი „თეთრი ტალღის“ მიერ პირობითი ვალდებულებების ასახვასთან დაკავშირებით; 3) ყველა სსიპ-ის მიერ სახელმწიფო შესყიდვების გეგმებისა და დოკუმენტაციის დროულად ატვირთვასთან დაკავშირებით.

არაფინანსური აქტივების აღრიცხვა-აღიარება

დრამატულ თეატრს 2017 წელს, ისევე როგორც 2016 წელს, ადმინისტრაციის განთავსების ფართი დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ შეფასებული საბაზრო ფასით ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული არ აქვს.

სხვა დარღვევა-ნაკლოვანებები

ინვენტარიზაცია

გამოვლენილი გარემოებები

1. მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნით¹⁹, ინვენტარიზაცია უნდა ჩატარდეს მატერიალურად პასუხისმგებელი პირის თანდასწრებით და საინვენტარიზაციო აღწერები ხელმოწერილი უნდა იქნეს კომისიის ყველა წევრისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიერ. სსიპ-ების პასუხისმგებელი პირების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების გამო, ქვემოთ დასახელებულ ორგანიზაციებში ფიქსირდება შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანებები:
 - ┐ დრამატულ თეატრში აუდირებული წლის ბოლოს ჩატარებულ სავალდებულო ინვენტარიზაციის უწყისებზე 11 მატერიალურად პასუხისმგებელი პირიდან, მხოლოდ 5 პირის ხელმოწერა ფიქსირდება.
 - ┐ თეატრ „თეთრ ტალღაში“ საინვენტარო უწყისებზე ექვსი მატერიალურად პასუხისმგებელი პირიდან, ფიქსირდება მხოლოდ ერთი პირის (მთ. ფინანსური მენეჯერის) ხელმოწერა.
 - ┐ ანსამბლ „აფხაზეთში“ 2017 წელს მცირეფასიანი აქტივების (ცეკვის ფორმები და აქსესუარები) ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით. ცეკვის ფორმები და აქსესუარები მიმაგრების აქტებით, მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრებით, გადაცემული აქვთ მოცეკვავეებს, საინვენტარიზაციო უწყისებზე კი მხოლოდ დირექტორის ხელმოწერა ფიქსირდება.
 - ┐ საგუნდო კაპელაში 2017 წელს მცირეფასიანი აქტივების (საკონცერტო კაბები) ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით. საკონცერტო კაბები მიმაგრების აქტებით, მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრებით, გადაცემული აქვთ მომღერლებს, საინვენტარიზაციო უწყისებზე კი მხოლოდ დირექტორის ხელმოწერა ფიქსირდება.

¹⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტები, მე-8 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები.

2. მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნით²⁰, ორგანიზაციაში მატერიალურად პასუხისმგებელი პირის შეცვლასთან დაკავშირებით, სავალდებულოა ჩატარდეს ინვენტარიზაცია. თეატრ „თეთრი ტალღის“ პასუხისმგებელი პირების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების გამო, 2017 წლის აპრილში მატერიალურად პასუხისმგებელი პირის შეცვლასთან დაკავშირებით, სავალდებულო ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა.
3. ანსამბლ „აფხაზეთში“ კანონმდებლობის მოთხოვნის მიუხედავად²¹, პასუხისმგებელი პირების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების გამო, ინვენტარიზაციის დროს საინვენტარიზაციო კომისიამ არ განახორციელა ისეთი მცირეფასიანი აქტივების კანონმდებლობის შესაბამისად განცალკევებულად იდენტიფიცირება (მათი გამოყენებისათვის უვარგისად ქცევის მითითებით), რომელიც 2017 წლის ბოლოსთვის სსიპ-ის მიზნებისათვის გამოუსადეგრად იყო ქცეული.

ამრიგად, ზემოაღნიშნული გარემოებები მიუთითებს სსიპ-ების საკუთრებაში არსებული აქტივების მოვლა-შენახვასა და დაცულობაზე არსებული კონტროლის სისუსტეზე, რაც, თავის მხრივ, იწვევს ორგანიზაციების კუთვნილი აქტივების არსებობისა და სისრულის რისკს.

ფინანსური ანგარიშგება

არაფინანსური აქტივების აღრიცხვა-გამოყენების ნაკლოვანებები

გამოვლენილი გარემოებები

სსიპ – აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „აფხაზეთი“

ანსამბლ „აფხაზეთის“ ფინანსური ანგარიშგების N10 საცნობარო მუხლში – „ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“, აღრიცხულია 1,718.70 ლარის ღირებულების 15 ერთეული აქტივი, რომელიც ანსამბლს გადმოეცა 2017 წელს. აღნიშნული აქტივები გადმომცემ ორგანიზაციას აღრიცხული ჰქონდა საკუთარი ფინანსური ანგარიშგების შესაბამის საცნობარო მუხლებში – 1,718,70

²⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტი, „თ“ ქვეპუნქტი.

²¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-9 მუხლის მე-11 პუნქტი.

ლარის ისტორიული ღირებულებით. ანსამბლ „აფხაზეთის“ ხელმძღვანელობის არასათანადო ქმედების გამო, აქტივების მიღების დროს არ მოხდა მათი შეფასება და რეალური ღირებულებით აღრიცხვა²², რამაც გამოიწვია ფინანსურ ანგარიშგებაში ანსამბლ „აფხაზეთის“ კუთვნილი აქტივების ღირებულების ზრდა.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

გამოვლენილი გარემოებები

მიუხედავად მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნისა, რომ სსიპ-ების ყოველწლიურ ბალანსს უნდა ამოწმებდეს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი, აუდირებული ოთხი სსიპ-იდან, არცერთი ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება არ შეუმოწმებია აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ დანიშნულ გარე აუდიტორს. აღნიშნული გარემოება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ აუდიტორული მომსახურების შესყიდვაზე 2018 წლის ბიუჯეტის ფარგლებში არც მაკონტროლებელმა გამოუყო სსიპ-ებს შესაბამისი თანხა და არც თავად ორგანიზაციებმა განახორციელეს საკუთარი სახსრებით მომსახურების შესყიდვა. ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ მის დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ების საქმიანობის კონტროლის სისუსტეზე, რაც, თავის მხრივ, წარმოქმნის საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი, არაეფექტიანი და გაუმჭვირვალე ხარჯვის რისკებს.

საკუთარი შემოსავლები

გამოვლენილი გარემოებები

დრამატული თეატრის 2017 წლის საკუთარმა შემოსავლებმა შეადგინა 21,679.00 ლარი, რაც საბიუჯეტო ასიგნების – 328,481.76 ლარის, 7%-ია. თეატრის საკუთარი შემოსავლების 2016 - 2017 წლების მონაცემების ანალიზით ჩანს, რომ თეატრის შემოსავლები იყოფა სამ ძირითად კატეგორიად:

²² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 22-ე მუხლის პირველი პუნქტი, 24-ე მუხლის 23-ე პუნქტი, 36-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

დრამატული თეატრი	2016 წელი	2017 წელი	2016-2017 წლების %-ული თანაფარდობა
შემოსავალი ბილეთების რეალიზაციიდან	607.00	3,114.00	513%
დონორების შემოსავალი	20,337.00	15,765.00	78%
შემოსავალი ფესტივალების დაფინანსებიდან	0	2,800.00	-
	20,944.00	21,679.00	0,04%

ცხრილი N 1. დრამატული თეატრის 2016-2017 წლების საკუთარი შემოსავლების მაჩვენებელი

დრამატულმა თეატრმა 2017 წელს ჩაატარა 22 სპექტაკლი, 14 სპექტაკლიდან 320 ბილეთის რეალიზაციით მიიღო 3,114.00 ლარის შემოსავალი, რაც 2016 წლის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალის – 607.00 ლარის, 513%-ია, რაც გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, მოქმედი სპექტაკლების რაოდენობის ზრდით (5 სპექტაკლიდან 14 სპექტაკლამდე ზრდა), ხოლო, მეორე მხრივ, მარჯანიშვილის თეატრთან, დიდი ფასდაკლებით, სცენის რეგულარული იჯარის ხელშეკრულების გაფორმებით. 2017 წელს საქართველოს პენსიონერთა კავშირს, საქართველოს შრომის ვეტერანთა და დაუსაქმებელ სპეციალისტთა საქველმოქმედო კავშირს და კავშირს „ვიზრუნოთ ერთმანეთზე“, უსასყიდლოდ გადაეცათ 490 ცალი ბილეთი, რაც მთლიანი რაოდენობის 26%-ია. პასუხისმგებელი პირის ინფორმაციით, ვინაიდან უფასო ბილეთების შეთავაზება ხდებოდა სატელეფონო კომუნიკაციის საფუძველზე, ხოლო მენეჯმენტი არ აღრიცხავდა მოწვეული მაყურებლებიდან რეალურად მოსული აუდიტორიის რიცხოვნობას, აუდიტის ჯგუფი ვერ ადასტურებს ინფორმაციას მოწვეული და დამსწრე მაყურებლების რაოდენობისა და სეგმენტის შესახებ. აუდიტებული წლის მანძილზე არარეალიზებული ბილეთების რაოდენობამ 1,053 ერთეული შეადგინა, რაც ბილეთების საერთო რაოდენობის 57%-ია.

თეატრ „თეთრი ტალღის“ 2017 წლის საკუთარმა შემოსავლებმა შეადგინა 29,327.00 ლარი, რაც საბიუჯეტო ასიგნების 204,692.00 ლარის 14%-ია. თეატრის 2016-2017 წლების საკუთარი შემოსავლების წყაროა:

თეატრი „თეთრი ტალღა“	2016 წელი	2017 წელი	2016-2017 წლების %-ული თანაფარდობა
კონკურსში გამარჯვების თანხა სადადგმო ხარჯებისთვის (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო)	14,100.00	11,750.00	83%
ბილეთების რეალიზაციისა და დაკვეთილი სპექტაკლის ღირებულება	14,055.00	17,577.00	125%
	28,155.00	29,327.00	4%

ცხრილი N 2. თეატრ „თეთრი ტალღის“ 2016-2017 წლების საკუთარი შემოსავლების მაჩვენებელი

2017 წელს, 2016 წელთან შედარებით, საერთო შემოსავალი გაზრდილია – 4%-ით, ხოლო ბილეთების რეალიზაციისა და დაკვეთილი სპექტაკლებიდან მიღებული შემოსავალი – 25%-ით.

ვინაიდან თეატრი „თეთრი ტალღა“, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ორიენტირებულია საბავშვო და მოზარდი თაობის რეპერტუარზე, თეატრის ხელმძღვანელობა აქტიურად თანამშრომლობს სკოლების ადმინისტრაციასთან მოსწავლეთათვის ბილეთებისა და აბონიმენტების შეთავაზებებით. ასევე სხვადასხვა მუნიციპალიტეტების მიერ ხდება თეატრისათვის ფასიანი სპექტაკლების დაკვეთა.

დრამატული თეატრისა და თეატრ „თეთრი ტალღის“ ინფორმაციით ბილეთების რეალიზაციიდან შემოსავლების სიმცირე განპირობებულია შემდეგი გარემოებით:

-)/ დრამატული თეატრში პიარმენეჯერის შტატის არარსებობით, შესაბამისად, მოსახლეობისათვის სოხუმის თეატრი ნაკლებად ცნობადია.
-)/ დრამატული თეატრის მიერ საკუთარი სცენის არქონით, რაც, თავის მხრივ, სპექტაკლების სტაბილური განრიგის აუცილებელი წინაპირობაა.

თუმცა აუდიტის ჯგუფის ანალიზით, შემოსავლების სიმცირე ასევე გამოწვეულია:

-)/ მენეჯმენტის მიერ წინასწარ შედგენილი ისეთი გეგმის არარსებობით, რომელშიც უნდა იყოს წარმოდგენილი კონკრეტული ღონისძიებები. კერძოდ, თეატრის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა საპროგნოზო შემოსავლების მობილიზებასთან დაკავშირებით.
-)/ დრამატული თეატრის ხელმძღვანელობის არასაკმარისი აქტივობით, რაც გამოიხატება იმაში, რომ სათანადოდ (სწორად) არ ხორციელდება დაგეგმვა და შესაბამისი პოტენციური მომხმარებლების მოძიება და შექმნილი პროდუქტის შეთავაზება-მიწოდება.

საგუნდო „კაპელას“ 2017 წლის საკუთარმა შემოსავლებმა შეადგინა 43,510.00 ლარი, რაც საბიუჯეტო ასიგნების – 210,341.67 ლარის, 21%-ია. კაპელის 2016-2017 წლების საკუთარი შემოსავლების წყაროა:

საგუნდო კაპელა	2016 წელი	2017 წელი	2016-2017 წლების %-ული თანაფარდობა
შემოსავალი ბილეთების რეალიზაციიდან	0	643.00	-

მონაწილეობა კულტურულ ღონისძიებებში	24,000.00	11,500.00	48%
მიზნობრივი გრანტი ფესტივალში მონაწილეობისათვის ²³	0	21,397.00	-
მიზნობრივი გრანტი კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისათვის	0	9,970.00	-
	24,000.00	43,510.00	81%

ცხრილი N3. საგუნდო კაპელის 2016-2017 წლების საკუთარი შემოსავლების მაჩვენებელი

საგუნდო კაპელამ 2017 წელს მონაწილეობა მიიღო თერთმეტ სხვადასხვა ფესტივალსა და ღონისძიებაში. შემოსავალი – 12,143.20 ლარი, მიიღო მხოლოდ ოთხი ღონისძიებიდან, მათ შორის, 2017 წლის 29 დეკემბერს ჩატარებული სოლო კონცერტიდან გაყიდული 82 ბილეთიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 643.20 ლარი. ამავე კონცერტის 400 მოსაწვევი სრულად დაურიგდა სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულ თანამშრომლებს. კაპელამ დაფინანსების გარეშე მიიღო მონაწილეობა ერთ ფესტივალსა და ოთხ კულტურულ ღონისძიებაში.

როგორც დგინდება, ბილეთების რეალიზაციიდან შემოსავლების სიმცირე განპირობებულია იმით, რომ:

-) კაპელის შემოქმედება სპეციფიკურია. ის არ წარმოადგენს მასობრივ-სანახაობრივ ხელოვნებას და აკადემიური საგუნდო მუსიკის აღქმას სჭირდება მუსიკალურად უკვე მომზადებული, გემოვნებიანი მსმენელი. ხელმძღვანელობა ცდილობს კაპელის შემოქმედება მოარგოს თანამედროვე მსმენელის მოთხოვნებს და რეპერტუარში სხვადასხვა მუსიკალური ჟანრის ნაწარმოებები შეიტანოს და ღონისძიებებში ჩართოს პოპულარული სოლისტები.
-) კაპელის მიერ საკუთარი სცენის არქონით, რაც, თავის მხრივ, კონცერტების სტაბილური განრიგის აუცილებელი წინაპირობაა, ხოლო კონცერტების ჩასატარებლად ნებისმიერი დარბაზი ვერ გამოდგება, ვინაიდან გამართულ ჟღერადობას სჭირდება შესაბამისი აკუსტიკა და ძვირადღირებული ხმის აპარატურა.
-) კაპელის წევრთა დაბალი შრომის ანაზღაურების გამო, პროფესიონალი კადრების მაღალი დენადობით. ახალი სპეციალური პროფესული განათლების მქონე კადრების შერჩევა, კაპელის წლობით დაგროვილი რეპერტუარის შესწავლა და

²³ აფხაზეთის დღისადმი მიძღვნილი საღამო „აფხაზეთის დღე – 2017“, პოლიციელის პროფესიული დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება, კაპელის სამხატვრო ხელმძღვანელისა და დირიჟორის, მანესტრო გურამ ყურაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონცერტი.

გუნდთან შერწყმა მოითხოვს გარკვეულ დროს, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს კაპელის საქმიანობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კაპელას ხელმძღვანელობამ ძალისხმევა მიმართა კონკრეტულ ღონისძიებებში დაკვეთებით მონაწილეობასა და ხელშეკრულების საფუძველზე წინასწარ შეთანხმებული ანაზღაურებით საკუთარი შემოქმედების გაყიდვისაკენ, თუმცა მიუხედავად განხორციელებული ღონისძიებებისა, შემოსავლების არსებითი ზრდა მაინც არ ფიქსირდება, რაც გამოწვეულია დაკვეთების არასტაბილურობით.

თუმცა აუდიტის ჯგუფის ანალიზით, მენეჯმენტის მიერ წინასწარ შედგენილი გეგმის (რომელშიც უნდა იყოს წარმოდგენილი კონკრეტული ღონისძიებები. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა) არსებობის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა საკუთარი შემოსავლების გაზრდა.

ანსამბლ „აფხაზეთის“ 2017 წლის საკუთარმა შემოსავლებმა შეადგინა – 3,950.00 ლარი, რაც საბიუჯეტო ასიგნების – 376,919.92 ლარის 1%-ია. ანსამბლის საკუთარი შემოსავლები იყოფა სამ ძირითად კატეგორიად:

ანსამბლი „აფხაზეთი“	2016 წელი	2017 წელი	2016-2017 წლების %-ული თანაფარდობა
მონაწილეობა კულტურულ ღონისძიებებში	5,000.00	0	-100%
კულტურული ღონისძიებების ორგანიზება	3,000.00	2,100.00	70%
იჯარიდან მიღებული შემოსავალი	0	1,850.00	-
	8,000.00	3,950.00	51%

ცხრილი N4. ანსამბლ „აფხაზეთის“ 2016-2017 წლების საკუთარი შემოსავლების მაჩვენებელი

ანსამბლმა „აფხაზეთმა“ 2017 წელს მონაწილეობა მიიღო ჩვიდმეტ სხვადასხვა ფესტივალსა და ღონისძიებაში. შემოსავალი – 2,100.00 ლარი მიიღო მხოლოდ ერთი ღონისძიებიდან: საქართველოს სუმოს ეროვნული კავშირის მიერ ორგანიზებული სუმოს ევროპის ჩემპიონატის გახსნის, დაჯილდოებისა და დახურვის ცერემონიაში მონაწილეობისთვის.

ანსამბლ „აფხაზეთის“ ინფორმაციით საკუთარი შემოსავლების სიმცირე გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

-)/ ანსამბლში პიარმენეჯერის შტატის არარსებობით, რომელიც ხელს შეუწყობდა ანსამბლის პოპულარიზაციას მოსახლეობაში.
-)/ ანსამბლის წევრთა დაბალი შრომის ანაზღაურების გამო, პროფესიონალი კადრების მაღალი დენადობით. ახალი პროფესული განათლების მქონე კადრების მოძიება/შერჩევა და მათთვის რეპერტუარის შესწავლა მოითხოვს გარკვეულ დროს და მნიშვნელოვნად აფერხებს ანსამბლის საქმიანობას.
-)/ მსგავს ანსამბლებს შორის არსებული დიდი კონკურენციით.
-)/ შესაბამისი ანალიზის საფუძველზე მენეჯმენტის მიერ წინასწარ შედგენილი ისეთი გეგმის არარსებობით, რომელშიც უნდა იყოს წარმოდგენილი კონკრეტული ღონისძიებები. კერძოდ, ანსამბლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა საპროგნოზო შემოსავლების მობილიზებასთან დაკავშირებით.
-)/ ანსამბლის ხელმძღვანელობის მიერ არასაკმარისი აქტივობით, რაც გამოიხატება იმაში, რომ სათანადოდ (სწორად) არ ხორციელდება დაგეგმვა და შესაბამისი პოტენციური მომხმარებლების მოძიება და ანსამბლის მიერ შექმნილი პროდუქტის შეთავაზება-მიწოდება

ანსამბლი ცდილობს შექმნას განსხვავებული მხატვრული სახე, რაც უფრო მიმზიდველს და მოთხოვნადს გახდის მის შემოქმედებას. ხდება რეპერტუარის განახლება და მორგება სხვადასხვა შესაძლო დამკვეთის მოთხოვნებისადმი. ანსამბლი ასევე სთავაზობს თავის შემოქმედებას სხვადასხვა ღონისძიებების საორგანიზაციო ჯგუფებს. თუმცა მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ანსამბლის შემოსავლები 2016 წელთან შედარებით 2017 წელს ფაქტობრივად განახევრებულია, რაც ანსამბლის ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებულ არასაკმარისი აქტივობაზე მიუთითებს.


ამავდროულად, აუდიტის ჯგუფის ანალიზით, შემოსავლების სიმცირე ასევე გამოწვეულია:

-)/ მენეჯმენტის მიერ წინასწარ შედგენილი ისეთი გეგმის არარსებობით, რომელშიც უნდა იყოს წარმოდგენილი კონკრეტული ღონისძიებები. კერძოდ, ანსამბლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა საპროგნოზო შემოსავლების მობილიზებასთან დაკავშირებით.
-)/ ანსამბლის ხელმძღვანელობის არასაკმარისი აქტივობით, რაც გამოიხატება იმაში, რომ სათანადოდ (სწორად) არ ხორციელდება დაგეგმვა და შესაბამისი პოტენციური მომხმარებლების მოძიება და შექმნილი პროდუქტის შეთავაზება-მიწოდება.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სსიპ-ის შემთხვევაში მაკონტროლებლის მხრიდან განხორციელებული ღონისძიებები, რომლებიც უნდა იყოს მიმართული სსიპ-ის მენეჯმენტის ეფექტიანობის ამაღლებისა და მოტივაციის ზრდისაკენ, არასაკმარისია. რაც საბოლოო ჯამში ახდენს მნიშვნელოვან გავლენას საკუთარი შემოსავლების მობილიზაციის ტენდენციაზე.

ბოლო 5 წლის მონაცემებით (დინამიკაში) სსიპ-ების საკუთარი შემოსავლებისა და ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების (ასიგნების) ურთიერთშედარებით მიღებული მაჩვენებლები მკვეთრად განსხვავებულია, ხშირად არადინამიურობით გამოირჩევა და უმეტეს შემთხვევაში ხასიათდება შემცირების ტენდენციით.

სსიპ-ების შემოსავლების/ასიგნებების დინამიკა 2013-2017 წლებში



დიაგრამა N 1: 2013-2017 წლების საკუთარი შემოსავლების/ასიგნებების მაჩვენებლები

ასე მაგალითად, დრამატული თეატრში საკუთარი შემოსავლების პროცენტული მიმართება ბიუჯეტიდან მიღებულ დაფინანსებასთან მიმართებაში უმეტესად ხასიათდება არასტაბილურობით და 5 წლის საშუალო მაჩვენებელი შეადგენს – 5.1 %-ს. დაახლოებით მსგავსი მდგომარეობაა (შედარებით გაუარესებული) ანსამბლ აფხაზეთში, სადაც ფიქსირდება მკვეთრი რყევები (ბოლო ორი წლის მიხედვით შემცირება) და საშუალო მაჩვენებელი შეადგენს – 4.8 %-ს. უკეთესი მაჩვენებლებით ხასიათდება საგუნდო კაპელა, სადაც სტაბილურობისა და ზრდის პირობებში საშუალო მაჩვენებელი შეადგენს – 11.9 %-ს. რაც შეეხება თეატრ თეთრი ტალღას, ამ შემთხვევაში მეტ-ნაკლები სტაბილურობის პირობებში (ფიქსირდება როგორც ზრდა, ისე შემცირება) საშუალო მაჩვენებელი ყველაზე მაღალია და შეადგენს – 13.3 %-ს.

ამავდროულად, სსიპ-ების მიერ ბიუჯეტიდან ყოველწლიურად მიღებული დაფინანსების დინამიკის ანალიზით ფიქსირდება განსხვავებული მაჩვენებლები. კერძოდ, რიგ შემთხვევაში ფიქსირდება ზრდა და რიგ შემთხვევაში შემცირება (გარდა ანსამბლ

აფხაზეთისა, სადაც 2013 წლის შემდგომ ადგილი აქვს ზრდას). ძირითადად საკუთარი შემოსავლების შემცირების პირობებში რაიმე მყარი დასაბუთება იმისა, თუ რით არის გამოწვეული სსიპ-ების ასიგნებების უმეტეს შემთხვევაში ზრდა წარმოდგენილი არ არის, რაც არასათანადო დაგეგმვისა და კონტროლის სისტემაზე მიუთითებს.

წლები		დრამატული თეატრი	საგუნდო კაპელა	ანსამბლი აფხაზეთი	თეატრი თეთრი ტალღა
2013	ასიგ.	315.98	დაარსდა 09.01.2014-ში*	411.23	175.38
	საკ.შემოს.	5.90		7.50	23.78
	% საკ.შემოს/ასიგ.	1.9%		1.8%	13.6%
2014	ასიგ.	369.05	233.44	181.16	234.04
	საკ.შემოს.	27.21	19.75	5.95	25.73
	% საკ.შემოს/ასიგ.	7.4%	8.5%	3.3%	11.0%
2015	ასიგ.	359.22	251.60	286.38	242.80
	საკ.შემოს.	14.55	21.40	45.09	36.80
	% საკ.შემოს/ასიგ.	4.1%	8.5%	15.7%	15.2%
2016	ასიგ.	319.95	239.96	357.15	226.96
	საკ.შემოს.	20.94	24.00	8.00	28.15
	% საკ.შემოს/ასიგ.	6.5%	10.0%	2.2%	12.4%
2017	ასიგ.	328.48	210.34	376.92	204.69
	საკ.შემოს.	21.68	43.51	3.95	29.33
	% საკ.შემოს/ასიგ.	6.6%	20.7%	1.0%	14.3%

ცხრილი N 5: 2013-2017 წლების საკუთარი შემოსავლების/ასიგნებების მაჩვენებელი

ამრიგად, საბიუჯეტო დაფინანსებასთან (ასიგნებებთან) მიმართებაში სსიპ-ების საკუთარი შემოსავლების 5 წლის საშუალო მაჩვენებელი შეადგენს – 8.8²⁴-ს, რაც დაბალი მაჩვენებელია და ბიუჯეტიდან მისაღები ასიგნებების გონივრულად დაგეგმვისა და სწორი (უკეთესი) მენეჯმენტის განხორციელების შემთხვევაში უნდა გაუმჯობესდეს, რამაც თავის მხრივ უნდა უზრუნველყოს სსიპ-ების როგორც საკუთარი შემოსავლების, ისე ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ეფექტიანად ხარჯვა.

²⁴ (5.1+4.8+11.9+13.3)/4=8.8

მიმდინარე ანგარიში ბანკში – ეროვნულ ვალუტაში

სსიპ – გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა

საგუნდო კაპელის 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების საბალანსო მუხლზე – „მიმდინარე ანგარიში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის ხაზინაში“, საწყის და საბოლოო ნაშთად ერიცებოდა 3,215.00 და 11,157 ლარი, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად²⁵, შეედოთ განთავსებინათ კომერციული ბანკის მიმდინარე ან სადეპოზიტო ანგარიშზე, დამატებითი საპროცენტო შემოსავლების მიღების მიზნით. საგუნდო კაპელის ხელმძღვანელობა არ ფლობდა ინფორმაციას საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ უფლებაზე, რის გამოც ფაქტობრივად საგუნდო კაპელამ დაკარგა დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობა. ვინაიდან სახსრების მიმდინარე/სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსების საპროცენტო შემოსავლები საბანკო მომსახურების ხარჯის გათვალისწინებით დამოკიდებულია ორგანიზაციასა და ბანკს შორის არსებული მოლაპარაკებით მიღწეულ პირობებზე, ამ ეტაპზე აუდიტის ჯგუფმა ვერ შეძლო ორგანიზაციისათვის თავისუფალი სახსრებით მისაღები სარგებელის დადგენა.

აუდიტორთა ხელმოწერა:

ნაია ხოფერია

წამყვანი აუდიტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი
(ტელ.: 599858198; ელფოსტა: NKHopheria@sao.ge)



ნინო ბრეგვაძე

აუდიტორ-ასისტენტი



ნინო ხაზალია

აუდიტორ-ასისტენტი



²⁵ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტი, „ა“ ქვეპუნქტი.

